საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-106

04/02/2019

ქ. თბილისი

**„ახალციხის მუნიციპალიტეტში შპს „თენგო 2000“-ის ცემენტის მწარმოებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 5.3 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ახალციხის მუნიციპალიტეტში შპს „თენგო 2000“-ის ცემენტის მწარმოებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #63; 27.12.2018წ;

2. შპს „თენგო 2000“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #63; 27.12.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თენგო 2000“-ს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თენგო 2000“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკოპინგის დასკვნის გამოცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი